პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 85
(5375)
30 აპრილი,
ოთხშაბათი.
1975 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მთის მდინარის გადალახვა.

სპორტული ბაზა ჩვენი წარმატებების საძირკველია

სასარგებლო ტრადიცია

ჩოხატაურში ტრადიციად დამკვიდრდა სპორტული მოედნებისა და ბაზების კეთილმოწყობის ერთთვიურის ჩატარება. ამ ღონისძიებაში, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა, ჩაბმული არიან კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, ცალკეული კომკავშირელები და ახალგაზრდები. ჩოხატაურელებს სწამთ, რომ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის, სექციური მუშაობის ნორმალურად წარმართვისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად მოწყობილ, ლამაზად გაფორმებულ სპორტულ მოედნებსა და ბაზებს.

რაიონში ბაზების მშენებლობისა კეთილმოწყობისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება. ბევრგან აშენდა ახალი მოედნები, ბევრგან ძველი კეთილმოეწყო, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ახლა მთელი მუშაობა იქითაა მიმართული, რომ არც ერთი დასახლებული პუნქტი არ დარჩეს მარტივი ტიპის მოედნის გარეშე.

რაიონის კოლმეურნეობებში, ბრიგადებში მოეწყო ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის მარტივი მოედნები, შეივსო ინვენტარით, შეიქმნა ნორმალური პირობები შეჯიბრებების ჩატარებისთვის.

ამ ცოტა ხნის წინათ კარგი საქმე ითავა კოხნარის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ. მისი თაოსნობით სოფლის ცენტრში გამოიყო ადგილი ფრენბურთის მოედნის მოსაწყობად. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც.

კომკავშირის ორგანიზაციის მდივნებსა და ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებს დაევალათ ერთთვიურის პერიოდში გამოიყენონ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების დახმარება აღნიშნული თაოსნობის მაღალ დონეზე განხორციელებისთვის. ის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც თავს გამოიჩენენ ერთთვიურის მაღალ დონეზე ჩატარებით, დაჯილდოვდებიან კომკავშირის რაიონული კომიტეტისა და სპორტკომიტეტის სიგელებით.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

* *

გაპარტახებული სარბიელი

გულრიფშის რაიონის სკოლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი და თითქმის ყველა ფიზკულტურის კოლექტივში შექმნილია გუნდები. ეს სასიხარულოა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნორჩ ფეხბურთელთა დაოსტატებას საგრძნობლად უშლის ხელს სათამაშო მინდვრების სიმცირე.

სოფელ დრანდის ახალგაზრდობას ჰქონდა კეთილმოწყობილი, შემოღობილი სტადიონი, მაგრამ ეს ბაზა რატომღაც ზედმეტად მიიჩნიეს და მის ტერიტორიაზე ააგეს ახალი სკოლის შენობა. ამ შენობისთვის შეიძლებოდა სხვა ადგილის შერჩევა, თუ არა და თვით სტადიონი უნდა გადაეტანათ სხვაგან.

სოფელ კოდორის საშუალო სკოლის წინ საუკეთესო სათამაშო მინდორია, რომელიც ეკუთვნის ხე-ტყის გადამამუშავებელ კომბინატს. ამ მინდორზე არა მარტო ბავშვები, არამედ ოსტატთა გუნდებიც კი ვარჯიშობდნენ ხოლმე. ახლა ეს სტადიონი გაპარტახებულია და პირუტყვის სათარეშოდაა ქცეული. არც კომბინატის, არც სკოლის მესვეურები არ ზრუნავენ მისი მოვლისთვის, ხოლო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ტ. ადამიამ ჩვენს შეკითხვაზე განაცხადა, სტადიონი სკოლას არ ეკუთვნისო. მაგრამ ხომ შეიძლებოდა მოსწავლეთა ძალებით მისი მოვლა?

გულრიფშის რაიონის ფეხბურთელებს ესაჭიროებათ სათამაშო ბაზები და ამ ბაზებს უნდა მოუაროთ.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

ჯილდოები საქართველოს ტურისტულ ორგანიზაციებს

ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოებს შორის 1974 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მიეკუთვნა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს. მას მიენიჭა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, პირველი ხარისხის დიპლომი და პირველი ფულადი პრემია.

ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებათა შორის 1974 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად დამტკიცებულია სოხუმის საკავშირო ალკკ XV ყრილობის სახელობის ტურისტული ბაზის კოლექტივი. იგი გახდა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელი და გადაეცა ფულადი პრემია.

სოხუმის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროს კოლექტივი დაჯილდოვდა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მესამე ხარისხის დიპლომით.

1974 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული საუკეთესო შედეგებისთვის ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ ბათუმისა და მცხეთის ტურისტული ბაზების, თბილისის, გაგრისა და მცხეთის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროების, თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ტურისტული ავტოგარაჟების კოლექტივები.

— ეს მაღალი ჯილდოები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯოხთაბერიძემ, — ტურისტული ბაზების, მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროების, საექსკურსიო ბიუროების, საქალაქო და რაიონული ტურისტული კლუბების კოლექტივებს ავალდებულებს იმუშაონ უფრო უკეთ და ნაყოფიერად, აამაღლონ ტურისტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ ახალი ტურისტული ობიექტები.

ჩვენმა კოლექტივებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი: ვადამდე — 1975 წლის 25 დეკემბრისთვის შეასრულონ წლიური გეგმა, ტურისტებსა და ექსკურსანტებს გაუწიონ 39,740 ათასი მანეთის მომსახურება — 31 პროცენტით მეტი, ვიდრე 1974 წელს, მოემსახურონ 413 ათას ტურისტს, რომლებიც მოგზაურობენ საკავშირო ტურისტული მარშრუტებით. საექსკურსიო მომსახურება გაუწიონ 7,3 მილიონ კაცს. საქართველოს მშრომელთა განკარგულებაში იქნება 25 ტურისტულ-საექსკურსიო მატარებელი 9200 კაცისთვის, გათვალისწინებულია საზღვაო და სამდინარო მარშრუტებზე მოემსახურონ 2300 კაცს, საავიაციო მარშრუტებზე — 15200 კაცს. წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცა ტურისტული სასტუმროები: 500-ადგილიანი ქუთაისში, 440-ადგილიანი სოხუმში, 184-ადგილიანი ლაგოდეხში. მწყობრში ჩადგება: მიწისქვეშა ელექტროგზა — ახალ ათონში, ივერიის მთის გამოქვაბულებში, სამგზავრო — საჰაერო-საბაგირო გზა ყაზბეგი — სამება. 1975 წელს დამთავრდება ყაზბეგის, ფასანაურისა და სიღნაღის ტურისტული სასტუმროების მშენებლობა 1570 კაცისთვის. ახალი ტურისტული სასტუმრო შენდება ჯავაში, კემპინგი — გორში, მთის თავშესაფრები — სიონში, ზუგდიდში, როკში, კახისის ტბაზე, სასადილო-კლუბი — ახალ ათონში.

1975 წელს დაიწყება ახალი ტურისტული სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების მშენებლობა ბათუმში, ოჩამჩირეში, ცხინვალში, ლენტეხში.

კაპიტალურად შეკეთდა ტურისტული სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების შენობები, განახლდა საძილე ოთახების ავეჯი, კლუბებისა და ტურისტული კაბინეტების მოწყობილობა, კეთილმოწყობილია ტურისტული ბაზებისა და პლაჟების ტერიტორიები, მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ტურისტული ბაზების ელექტრო- და წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის, მათი ტერიტორიების გამწვანებისთვის, შეიძინეს ახალი კულტინვენტარი და ლიტერატურა.

ტურისტული სეზონი გახსნილია. უკვე მოქმედებს საკავშირო მარშრუტების უმეტესობა. საქართველოს პროფკავშირების ტურისტულ ორგანიზაციათა კოლექტივები ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ქალაქიდან და დასახლებული პუნქტიდან, აგრეთვე, საზღვარგარეთიდან საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა კულტურულ მომსახურებას. (საქინფორმი).

ტურისტული ბილიკებით.

ა. გურასაშვილის ფოტოები.

რაიონებში სპორტქრონიკა

✦ თელავი

მიმდინარეობს რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა. სიმძიმეების აწევასა და კალათბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. კალათბურთელ გოგონათა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თელავის მე-3 საშუალო სკოლის გუნდი. იყალთოელმა გოგონებმა ყველას აჯობეს ფრენბურთში.

შ. ელიოზიშვილი.

✦ ჩხოროწყუ

რაიონის სასროლეთზე ჩატარდა მცირეკალიბრიანი შაშხანით შეჯიბრება 25 და 50 მეტრზე. ცეცხლის ხაზზე 150 სპორტსმენი გამოვიდა. 25 მეტრზე შეჯიბრებაში გაიმარჯვა რაიონის სანეპიდსადგურის აგრონომ-ენტომოლოგმა ლ. ჩარხალიამ — 46 ქულა. მანვე მოიგო 50 მეტრიდან სროლაც, ოღონდ ამჯერად 3 ქულით ნაკლები დააგროვა.

ს. ჯალაღონია.

ტაშკენტი — მოსკოვი: სპარტაკიადა

თბილისი მოწინავეთა სამეულშია

ტაშკენტს, რომელმაც მოკრივეთა შეჯიბრებით გახსნა ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ფინალი, ესტაფეტა ჩამოართვა გმირმა ქალაქმა მოსკოვმა, სადაც წყალბურთელები გამოვლენ. შემდეგ კი, ივლისის ბოლომდე, უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენები იასპარეზებენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებშიც, აგრეთვე, ლენინგრადსა და კაუნასში.

წყალბურთელთა ტურნირის წინ, რომელიც 5 მაისს დაიწყება, ლიდერობენ რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიის, ყაზახეთის გუნდები.

წლევანდელ სპარტაკიადაში პირველად ჯამდება ქულები ქალაქებს შორისაც. ამჟამად წინ არიან მინსკის, ალმა-ათის, თბილისის, ბაქოს, რიგისა და ფრუნზეს სპორტსმენები.

— ფინალურ შეჯიბრებებს ყველა მოძმე რესპუბლიკის წარგზავნილი 1850 მსაჯი მოემსახურება, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სპარტაკიადის მთავარმა მდივანმა ვ. მაქსიმოვმა. 1928 წელს, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, იგი პირველ საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობდა, 1956 წლის ხალხთა სპარტაკიადაში ძალოსანთა შეჯიბრების მსაჯად იყო მიწვეული, მას შემდეგ კი ყველა ამ ასპარეზობის მთავარი მდივანია. და აი, ახლაც, მიუხედავად საპენსიო ასაკისა, სამამულო ომის ვეტერანი ასპარეზობის სამდივნოს ხელმძღვანელობს.

— ჩვენი სპარტაკიადები სულ უფრო მასშტაბური ხდება, — აღნიშნა ვ. მაქსიმოვმა. — 1971 წელს ასპარეზობის პროგრამაში 23 სახეობა შედიოდა, ახლა 26 შედის. მაშინ სარბიელზე 254 ქალაქის, დაბისა და სოფლის 7882 წარმომადგენელი გამოდიოდა, ახლა მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო დიდია. პროგრამას კვლავ დაემატა ჩოგბურთი, ჭადრაკი. სპარტაკიადის სარბიელზე პირველად გამოვლენ ძიუდოისტები. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ელით 851 ოქროს, 851 ვერცხლისა და 878 ბრინჯაოს მედალი.

ვ. ხაჩატურიანი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ბიგანიშვილი


დ. ჯულაშვილი

ნ. ქრისტესაშვილი

მ. მამულაშვილი

ფ. ხანგოშვილი

ნ. გაგუნაშვილი

რ. ქაიხოსროშვილი

ვ. ძეგლიგაშვილი

VI
სპარტაკიადა

მეტი პატივისცემა ქართულ ჭიდაობას!

ცხინვალში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

პირველი წერილი ჩვენ შეჯიბრების გახსნის დღეს მივუძღვენით და მოკლედ მიმოვიხილეთ პირველი შედეგები. ახლა კი მომდევნო ორი დღის შესახებ გიამბობთ.

რამდენადაც სპარტაკიადა უკვე დამთავრებულია და, ბუნებრივია, შედეგები ხელთა გვაქვს, მთავარი ყურადღება გამარჯვებულებზე გადავიტანოთ. მაშ ასე, პირველი წონითი კატეგორია — უმჩატესი. ამ წონაში კარგად იასპარეზა თბილისელმა ლ. ბიგანიშვილმა. ორი წმინდა გამარჯვების შემდეგ მესამე წრეში მან ქულებით სძლია ქუთაისელ კ. გაგნიძეს, ხოლო ფინალში დაძაბულ ორთაბრძოლაში ასევე ქულებით აჯობა აჭარის გუნდის წარმომადგენელს ვ. ვეფხვიშვილს, რომელიც, თავის მხრივ, პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლება. მანამდე მას ორი გამარჯვება და ერთი ფრე ჰქონდა.

მჩატე წონაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელს ერთმანეთს თბილისელი დ. ჯულაშვილი და მასპინძელთა გუნდის წევრი ჰ. ილურიძე ეცილებოდნენ. ბუნებრივია, ფინალურ ორთაბრძოლას ყველა მოუთმენლად ელოდა, მაგრამ უცაბედად ილურიძე ავად გახდა და გამარჯვება თბილისელ სპორტსმენს დარჩა. აღსანიშნავია, რომ სპორტის ოსტატ ჯულაშვილს სამივე ბრძოლა წმინდად ჰქონდა მოგებული და, ამგვარად, ტურნირი მან უჯარიმოდ დაამთავრა. შედეგი მართლაც ბრწყინვალეა.

ქვემსუბუქ წონაში I ადგილისათვის სამხრეთ ოსეთის გუნდის წევრი ნ. ქრისტესაშვილი და დუშელი ვ. მოხევიშვილი იბრძოდნენ. ჩემპიონის სახელი ცხინვალელ სპორტსმენს ხვდა.

მსუბუქ წონაში ფავორიტად თბილისელი სპორტის ოსტატი მ. ზარნაძე ითვლებოდა. პირველ წრეში დამარცხების შემდეგ მან ჯერ ქულებით სძლია ოსეთის გუნდის წევრ რ. ქისიშვილს, ხოლო შემდეგ 15 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა ფოთელ ა. მურადაშვილთან. მაგრამ არც აჭარის გუნდის წევრი მ. მამულაშვილი იყო გულხელდაკრეფილი. ისიც დაჯერებით მიიწევდა მიზნისკენ და ფინალში წინ გადაეღობა ზარნაძეს. მძიმე ბრძოლაში გამარჯვება აჭარის ფალავანს ხვდა.

ქვესაშუალო წონაშიც ჩემპიონობისთვის აჭარისა და თბილისელი ფალავნები იბრძოდნენ. ამ ჭიდილში აჭარის წარმომადგენელმა ფ. ხანგოშვილმა იმარჯვა. თბილისელი ფ. ჟამერაშვილი მეორე იყო.

საშუალო წონაში პირველი დღის რეკორდსმენმა, თბილისელმა ნ. გაგუნაშვილმა ასპარეზობა წაგებით დაიწყო. მეორე შეხვედრის შესახებ თქვენ უკვე იცით: ნ. გაგუნაშვილმა სარეკორდო დროში — 10 წამში ბეჭებზე დასცა ფოთელი გ. გადაევი. მესამე წრეში კი მან თავისივე პირადი და საერთოდ ტურნირის რეკორდი გააუმჯობესა — 8 წამში დაამარცხა ტყიბულელი ა. ბოჭორიშვილი.

ქვემძიმე წონაში კარგად იასპარეზა თბილისელმა სპორტის ოსტატმა რ. ქაიხოსროშვილმა.

მძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონს, თბილისელ ვ. ძეგლიგაშვილს. იგი ბევრად სჯობდა მეტოქეებს და ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო.

ტურნირში გუნდური I ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონობა თბილისის ძლიერმა ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზე აჭარის გუნდი გავიდა, რომელმაც 10,5 ქულით გაუსწრო III ადგილზე გასულ ქუთაისის კოლექტივს.

დაწესებული იყო ორი პრიზი: ერთი — სპარტაკიადის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისა — საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონს ვ. ძეგლიგაშვილს, რომელსაც იმ დღეს 20 წელი შეუსრულდა. მეორე პრიზი — შეჯიბრების საუკეთესო მსაჯისა — ცხინვალელმა არბიტრმა ა. გაგლოევმა მიიღო.

და ბოლოს, რა შთაბეჭდილებებით დავშორდით ცხინვალს? რა გვიჩვენა ამ ასპარეზობამ? გულახდილად უნდა ვთქვათ, გუნდები სუსტად იყვნენ მომზადებული. პირველი სამეულის გარდა, ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ დატოვა სახარბიელო შთაბეჭდილება. ის კი არა, ისეთი აზრი შეგვექმნა, თითქოს გუნდები მხოლოდ და მხოლოდ ვალის მოსახდელად ჩამოვიდნენო. ძალიან სუსტად, უსუსურად გამოვიდნენ დუშეთის, რუსთავის, ფოთისა და სხვა კოლექტივები.

ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული სპორტია, რომელსაც დიდ სარბიელზე ბევრი ცნობილი ფალავნისთვის გაუხსნია გზა. ქართული ჭიდაობა ზეიმად ჰქონდათ გადაქცეული ჩვენს მამა-პაპათ. ამიტომაც დროა ზოგიერთი რაიონის სპორტის მესვეურნი ჩაუფიქრდნენ ამ მეტად არასასიამოვნო ფაქტს. იქნებ ცოტა ხანში გამოასწორონ საქმე. ისე კი მეტი ყურადღება, მეტი პატივისცემაა საჭირო ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის უსაყვარლესი სპორტის ტრადიციებისადმი.

ახლა კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტის შესახებ. ყველამ კარგად იცით, რომ სპორტი და გულშემატკივარი — ეს ერთი განუყრელი ცნებაა. გულშემატკივარი იმას ჰქვია, ვინც ამა თუ იმ გუნდს, ამა თუ იმ სპორტსმენს უჭერს მხარს. ხშირად ეს მხარდაჭერა უფრო დიდ, ღრმა ემოციებში გადადის. განსაკუთრებით ხშირია შემთხვევა, როცა ეს გულშემატკივარი, როგორც ბევრი ჩვენგანი, სუბიექტურად აფასებს სიტუაციას მხოლოდ იმისთვის, რომ მისმა საყვარელმა გუნდმა თუ სპორტსმენმა როგორმე მიაღწიოს გამარჯვებას. იმ წუთში იგი არაფერზე ფიქრობს, ოღონდ კი მისმა რჩეულმა გაიმარჯვოს. ეს ასეა, უამისოდ ალბათ არც ექნება შნო სპორტულ ასპარეზობას, მაგრამ ის ფაქტი, რომ მონაწილე გუნდისა თუ სპორტსმენის მწვრთნელი, ხელმძღვანელი, მსაჯიც კი, რომელიც იმ მომენტში მაყურებლის როლშია, არხდ აგდებს თავის თავს, მდგომარეობას, ხულიგნურად მიიჭრება მსაჯთა მაგიდასთან და დაუყოვნებლივ მოითხოვს არბიტრის გადაწყვეტილების შეცვლას, ყოვლად დაუშვებელია. მწვრთნელი, გუნდის ხელმძღვანელი — ეს დიდი თანამდებობაა, დიდი ნდობაა. მწვრთნელსა და ხელმძღვანელს აბარიათ მთელი გუნდი. რა მაგალითი უნდა აიღონ, რა უნდა ისწავლონ მათგან ახალგაზრდებმა?!

ჩვენ არ ვიცავთ მსაჯებს, შეიძლება იყო კიდეც დაშვებული შეცდომები, გულდასაწყვეტიც კი. შეცდომებისგან ხომ არავინაა დაზღვეული, მაგრამ ყველას აქვს შესაძლებლობა ნორმალურ ვითარებაში, წერილობით გაუზიაროს მთავარ მსაჯს თავისი გულისტკივილი, სთხოვოს პირვანდელი შედეგის გადასინჯვა. ამას უკვე პროტესტი ჰქვია. პროტესტს კი, როგორც ყოველთვის, დაკვირვებით აანალიზებენ და, თუ მართლაც შეცდომაა დაშვებული, შედეგს აუქმებენ. ვიმეორებთ — ყველამ თავისი ადგილი და მდგომარეობა უნდა იცოდეს. ჩვენ აქ არ დავასახელებთ მათ — ალბათ, თუ ამ წერილს წაიკითხავენ, იცნობენ თავიანთ თავს და დასკვნებსაც გამოიტანენ, დასკვნები კი აუცილებელია!

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

პირადი. უმჩატესი წონა. 1. ლ. ბიგანიშვილი (თბილისი), 2. ვ. ვეფხვიშვილი (აჭარა), 3. კ. ხანიშვილი (გორი).

მჩატე. 1. დ. ჯულაშვილი (თბილისი), 2. ჰ. ილურიძე (სამხრეთ ოსეთი), 3. ბ. მჟავანაძე (აჭარა).

ქვემსუბუქი. 1. ნ. ქრისტესაშვილი (სამხრეთ ოსეთი), 2. ვ. მოხევიშვილი (დუშეთი), 3. ნ. ჯოხაძე (აჭარა).

მსუბუქი. 1. მ. მამულაშვილი (აჭარა), 2. მ. ზარნაძე (თბილისი), 3. ზ. ნიშნიანიძე (ტყიბული).

ქვესაშუალო. 1. ფ. ხანგოშვილი (აჭარა), 2. ვ. ჟამერაშვილი (თბილისი), 3. ვ. ძმიაშვილი (დუშეთი).

საშუალო. 1. ნ. გაგუნაშვილი (თბილისი), 2. ზ. ბეთლემიძე (გორი), 3. გ. რეხვიაშვილი (აფხაზეთი).

ქვემძიმე. 1. რ. ქაიხოსროშვილი (თბილისი), 2. გ. ჯარიაშვილი (დუშეთი), 3. შ. ლომთაძე (ქუთაისი).

მძიმე. 1. ვ. ძეგლიგაშვილი (თბილისი), 2. გ. მელიქიშვილი (ქუთაისი), 3. ლ. ჩიგოევი (სამხრეთ ოსეთი).

გუნდური. 1. თბილისი — 49 ქულა, 2. აჭარა — 31, 3. ქუთაისი — 20,5.

დ. ჭელიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცხინვალი.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა ტრადიციული საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ცალკეულ წონით კატეგორიებში:

48 კგ. 1. ა. ვაინბერგი (ლენინგრადი), 2. ე. მარუაშვილი (თბილისი), 3. ვ. სავჩუკი (კიროვოგრადი).

52 კგ. 1. დ. ბაქრაძე (თბილისი), 2. ა. ასლანოვი (ბაქო), 3. ი. პიშკინი (სარატოვი).

57 კგ. 1. ნ. მაჭარაშვილი, 2. ო. ტეტვაძე (ორივე — თბილისი), 3. მ. ლუკინი (დუშანბე).

62 კგ. 1. ჯ. მეგრელიშვილი (თბილისი), 2. ს. ბერდიევი, 3. ი. სოკოლოვი (ორივე — ლენინგრადი).

68 კგ. 1. გ. გოგნაძე (თბილისი), 2. ვ. კონობაევი (ლენინგრადი), 3. მ. მაისურაძე (თბილისი).

74 კგ. 1. ა. ცარიოვი (ლენინგრადი), 2. გ. მარსაგიშვილი (ორჯონიკიძე), 3. გ. როჭიკაშვილი (თბილისი).

82 კგ. 1. ი. წიკლაური (თბილისი), 2. ა. მიხაილოვი (ლენინგრადი), 3. ა. თოლორდავა (თბილისი).

90 კგ. 1. ნ. ბაბიაშვილი, 2. გ. დოგუზაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ვ. რეიხმანი (კიშინიოვი).

100 კგ. 1. მ. სალაძე (თბილისი), 2. ა. ანდრიანოვი (ლენინგრადი), 3. ა. სალნოგოროვი (დუშანბე).

მძიმე. 1. შ. მორჩილაძე (თბილისი), 2. ს. კარავანი (ლენინგრადი), 3. ხ. აბდურახმანოვი (ბაქო).

დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური პრიზი, რომლებიც გადაეცათ: მ. სალაძეს — ტექნიკური ჭიდაობისთვის, ჯ. მეგრელიშვილს — ყველაზე მეტი წმინდა მოგებისთვის, შ. მორჩილაძეს — ყველაზე ძლიერ მოჭიდავეს, ვ. სავჩუკს — ახალგაზრდებს შორის საუკეთესო შედეგისთვის. მთავარი ჯილდო — მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური ჩემპიონის გ. კარტოზიას პრიზი მიიღო ი. წიკლაურმა.

ბოლო ტურის შემდეგ

დამთავრდა სამთომთხილამურეთა მრავალტურიანი საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც მთელ ზამთარს გაგრძელდა. ბოლო, VII ტურის მასპინძელი იყო მონჩეგორსკი, სადაც ჩატარდა შეჯიბრება კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე — „იმიერპოლარული გაზაფხული“. ამ სტარტებს უნდა დაესახელებინა ყველა საპრიზო ადგილის მფლობელნი, მანამდე კი მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ გიგანტურ სლალომში ჩემპიონის ოქროს მედლები ვადამდე მოიპოვეს ალმა-ათის არმიელმა მ. ჰუსაინოვმა და ბელორეცკის სპარტაკელმა ნ. პერჩატკინამ.

ნატაშა პერჩატკინამ მონჩეგორსკშიც შესანიშნავად იასპარეზა, გიგანტურ სლალომში მან (1.09,26) თავის დას ტატიანას 0,66 წამი მოუგო, 7 ტურის ჯამში 181 ქულა მოაგროვა და 40 ქულით აჯობა ვერცხლის პრიზიორს — კიეველ ს. ლებედევას, რომელიც მონჩეგორსკში საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. აქ III ადგილი ყველაზე ახალგაზრდა სამთომთხილამურეს, კიროვსკელ ნ. პატრაკეევას („ტრუდი“) ერგო — 1.10,15. ბრინჯაოს მედალი კი წილად ხვდა მოსკოველ ნ. მულიუკოვას („სპარტაკი“) — 136 ქულა.

ვაჟთა შორის, როგორც ვთქვით, ამ სახეობაში ბრძოლა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვისღა გრძელდებოდა, ვინაიდან ჰუსაინოვს უკვე 177 ქულა ჰქონდა და მისი დაწევა აღარავის შეეძლო. მონჩეგორსკმა წარმატება მოუტანა კიეველ ვ. სემიონოვს („დინამო“) — 1.56,88. ამან მას საშუალება მისცა საბოლოოდ 154 ქულა მოეგროვებინა და ბრინჯაოს ჯილდოს დაუფლებოდა. ვერცხლის მედალი მიიღო ლენინგრადელმა ნ. სნეჟუროვმა („შრომითი რეზერვები“) — 158 ქულა, რომელმაც მონჩეგორსკში მესამე შედეგი (1.57,29) აჩვენა.

კემეროვოელმა ა. ასკაროვამ („ბურევესტნიკი“) ჩემპიონატში ორი ოქრო მოიგო — სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში. სლალომში მან საბოლოოდ 139 ქულას მოუყარა თავი და 12 ქულით ჩამოიტოვა ნ. პერჩატკინა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში პერმელმა ს. შჩუკინამ („დინამო“, 102 ქულა) მხოლოდ ქულით აჯობა ტ. პერჩატკინას. სწრაფდაშვებაში ასკაროვას 113 ქულა დაუგროვდა. ამჯერად პერჩატკინას, ოღონდ ტატიანას, მან 7 ქულა მოუგო. ნ. პერჩატკინამ კი 101 ქულით ბრინჯაო მიიღო.

ვაჟთა შორის პრიზიორები გახდნენ: სპეციალურ სლალომში — სნეჟუროვი — 153, ვ. ანდრეევი (კიროვსკი, „ტრუდი“) — 139 და ვ. სინეტოვი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი, „სპარტაკი“) — 113; სწრაფდაშვებაში — ვ. ციგანოვი (მონჩეგორსკი, „ტრუდი“) — 106, მ. ვერუზგოვი (ლენინგრადი, „სპარტაკი“) — 90 და სემიონოვი — 88.

ოსტატობა მოიპოვა

ამას წინათ სიმფეროპოლში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება ავტოსამოდელო სპორტში, რომელიც კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა. სარბიელზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მარშანდელი ჩემპიონები და პრიზიორები, ტაგანროგელი ვ. სლავნიკოვი, დნეპროპეტროვსკელი გ. მარჩენკო, თბილისელი დ. ჩხაიძე და სხვ.

მონაწილენი თავგამოდებით იბრძოდნენ, ვინაიდან პრიზიორებს სპორტის ოსტატის წოდება ენიჭებოდათ. საბოლოოდ გაიმარჯვა სლავნიკოვმა, რომელმაც 100 ქულა მოაგროვა. მარჩენკო მას 20 ქულით ჩამორჩა. დ. ჩხაიძემ 70 ქულით III ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის სახელი მოიპოვა.

ო. კიკნაველიძე.

დოსააფელთა შეჯიბრებით

ჭიათურაში პირველად ჩატარდა ავტორალი, რომლის მონაწილეებსაც 100-კილომეტრიანი დისტანცია უნდა გაევლოთ. შეჯიბრებაში მხოლოდ ზოდის კოლმეურნეობის, მარგანტრესტის საბჭოთა მეურნეობისა და დოსაafის ავტოკლუბის მანქანები მონაწილეობდნენ. ასპარეზობას თავი აარიდეს ქალაქის № 2 და № 3 ავტოსატრანსპორტო კონტორების შოფრებმა.

გამარჯვება მოიპოვა რ. გოქსაძემ, რომელმაც ტრასის გავლას 1 საათი და 28 წუთი მოანდომა. II ადგილზეა ა. ცერცვაძე, III — ი. ქიმერტელიძე (სამივე — დოსააფი).

ზ. ტატიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

გმირთა ხსოვნა უკვდავია

ამ შეჯიბრების მონაწილეებს 30 წელი ჯერ არ შესრულებიათ, მათ არ გამოუცდიათ ომის მრისხანე წლების სუსხი, მაგრამ გულში საუთუთად ინახავენ სამშობლოს თავისუფლებისთვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას.

თბილისის კალინინის რაიონის საწარმო-დაწესებულებებისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნას და ფაშისტურ გერმანიასთან ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიუძღვნეს სათხილამურო სპორტში რაიონის პირად-გუნდური პირველობა, რომელიც ახლახან ბაკურიანში გაიმართა. პროგრამაში იყო სლალომი და სათხილამურო რბოლები. სლალომში, რომლის ტრასა კოხტაგორის ფერდობზე გადიოდა, პირველობა მოიპოვა ცეკავშირის წარმომადგენელმა დ. კომახიძემ. II და III ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ მ. შავლაძეს (თბილისის წყალკანალტრესტი) და ი. მახარაძეს (თეატრალური ინსტიტუტი).

ქალთა შორის 3 კილომეტრზე რბოლაში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ნ. ქიტიაშვილს (წყალკანალტრესტი). II ადგილზეა მ. უგრეხელიძე (ცენტრალური ტელეგრაფი), III — ა. დანილინა (თბილისის სატელეფონო ქსელი).

ხალხმრავალი გამოდგა ვაჟთა რბოლა 5 კილომეტრზე. ეს მანძილი ყველაზე სწრაფად დაამთავრა თბილისის სატელეფონო ქსელის გუნდის წევრმა გ. ჩანტლაძემ. II ადგილზეა ი. ჯანელიძე (წყალკანალტრესტი), III — გ. რეხვიაშვილი (ცენტრალური ტელეგრაფი).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: წყალკანალტრესტი — 36 ქულა, თბილისის სატელეფონო ქსელი — 26, ცენტრალური ტელეგრაფი — 24.

თ. წივილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

მომავალში გავითვალისწინოთ

ფეხბურთი '75

1975 წლის სეზონისთვის რესპუბლიკის ოსტატთა გუნდების მზადების შემოწმების შედეგები

რუსთავის „მეტალურგი"

„მეტალურგი" მხოლოდ წლეულს გადავიდა „ა" კლასის II ჯგუფში. ორგანიზაციული მიზეზებით, იგი დროულად ვერ შეუდგა სასეზონო მზადებას. გუნდმა წვრთნა მხოლოდ 1 თებერვლიდან დაიწყო, ესე იგი, იანვარი დაკარგა. თებერვალსა და მარტში მეცადინეობათა რიცხვი და საათების მოცულობა ასეთი იყო:

	თებერვალი	მარტი	სულ	საათების ჯამი
საკონტროლო თამაშები	—	5	5	15,0
ძირითადი მეცადინეობანი	25	17	42	92,7
მათ შორის დიდი დატვირთვით	13	7	20	50,5
საშუალო დატვირთვით	6	7	13	26,5
პატარა დატვირთვით	6	3	9	15,7
დამატებითი მეცადინეობანი	11	7	18	31,2
სულ უშეჯიბრებოდ				123,9
შეჯიბრებებით				138,9

ყურადღებას იქცევს დამატებითი მეცადინეობების მცირე რიცხვი და დილის ვარჯიშების უგულებელყოფა. ეს უკანასკნელი კი შეკრებებზე აუცილებელია თუნდაც მხოლოდ ჰიგიენური თვალსაზრისით, როგორც მხნეობისა და ძილის შემდეგ ფეხბურთელთა შრომისუნარიანობის აღდგენის საშუალება.

თვალში გვეცემათ საწვრთნელი მეცადინეობების, შეჯიბრებებისა და დასვენების რეჟიმის თავისებურებაც. აქაა რაღაც საკუთარი სისტემა თუ უსისტემობა დატვირთვათა მონაცვლეობისა. ზოგჯერ გამოყენებულია ორდღიანი დასვენება. აღსანიშნავია ისიც, რომ 13-დღიან მონაკვეთში ორ დასვენების დღეს (9 თებერვალს და 3 მარტს) გუნდმა 11 მეცადინეობა ჩაატარა, 9 დიდი და 2 საშუალო დატვირთვით. ამასთან, დიდი დატვირთვით მეცადინეობები სამ სერიად განაწილდა. ზედიზედ სამი დიდი დატვირთვით ჩატარებული მეცადინეობა ენაცვლებოდა მხოლოდ ერთ მეცადინეობას საშუალო დატვირთვით. ეს დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ დიდი დატვირთვით მეცადინეობების შემდეგ აღდგენა 48-დან 64 საათს გრძელდება. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ მეთოდური მითითებები, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „მაქსიმალური დატვირთვით მეცადინეობათა ზედიზედ დაგეგმვა, როცა ეს მეცადინეობები ტარდება დაუსრულებელი აღდგენის პროცესის ფონზე, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელს შემდეგ საკმარისი, ეგრეთ წოდებული კომპენსატორული დასვენების საშუალებას მივცემთ..."

კიდევ უფრო გასაკვირია, რომ „მეტალურგი" ცდილობს ეს პრაქტიკა საკონტროლო თამაშებშიც დანერგოს. მაგალითად, 4 და 5 მარტს გუნდმა ზედიზედ ორი შეჯიბრება ჩაატარა.

თუ დიდ დატვირთვათა ამ სერიებმა უარყოფითი შედეგები არ მოგვცა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დატვირთვა სინამდვილეში ალბათ არ ამართლებდა თავის სახელს და არ იწვევდა შესაბამის ფუნქციონალურ ძვრებს. ამას მოწმობს, თანაც ბევრად უკეთ, ვიდრე სხვა გუნდებში, ჩანაწერები ფეხბურთელთა წონის შესახებ. როგორც წესი, თვით ზემოხსენებული ვარჯიშების სამმაგი სერიის დროსაც კი, ფეხბურთელები ყოველდღიურად აღიდგენდნენ წონას. მაგრამ აღნუსხულია სხვა შემთხვევებიც, რომლებიც გვაიძულებენ გავფრთხილდეთ. მაგალითად, ზედიზედ ორი ორმხრივი თამაშისა და ერთი საშუალო დატვირთვით ჩატარებული ვარჯიშის შემდეგ (7, 8 და 9 თებერვალს) ჭეიშვილმა ვერ აღიდგინა 1,5 კგ, კონკიშვილმა — 1,7, ღოღობერიძემ — 0,7.

გუნდი სრულადაა დაკომპლექტებული. მაგრამ, ისევე როგორც სხვა კოლექტივებს, მასაც ხელს უშლის ის დაბრკოლებები, რასაც უმაღლესი სასწავლებლები უქმნიან სტუდენტთა თამაშს ამ გუნდებში. ჩვენი აზრით, პირიქით, საჭიროა ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ სტუდენტთა სპორტულ წარმატებებს, არ შევუშალოთ მათ ხელი ოსტატთა გუნდებში თამაშში.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „მეტალურგში" შემოღებული მზადების ყოველთვიური გეგმების საკუთარი ფორმები არ შეეფერება დაგეგმვის საერთო წესს და ამიტომ სრულიად ზედმეტ სირთულეებს ქმნის მონაცემების ანალიზის დროს.

ზუგდიდის „დინამო"

იმასთან დაკავშირებით, რომ გუნდს ერთ პერიოდში დაშლის საფრთხე ემუქრებოდა, მერე კი გარკვეულ ხანს მწვრთნელი სულაც არ ჰყავდა (უფროს მწვრთნელად დანიშნულმა ივანოვმა ავანსი მიიღო და გადაიკარგა), მოსამზადებელი მუშაობა კოლექტივში ჩაშლილი აღმოჩნდა (საწვრთნელი მეცადინეობები ფაქტიურად მარტში დაიწყო).

აი, როგორ დაგეგმა გუნდმა მუშაობა მარტის თვეში:

	მეცადინეობათა რიცხვი	საათების ჯამი
საკონტროლო თამაშები	7	21
ძირითადი მეცადინეობანი	24	43
მათ შორის დიდი დატვირთვით	6	11,5
საშუალო დატვირთვით	13	24,0
პატარა დატვირთვით	5	7,5
დამატებითი მეცადინეობანი	6	8,5
დილის მეცადინეობანი	31	31,0
სულ უშეჯიბრებოდ		82,5
შეჯიბრებებით		103,5

ახალი მწვრთნელი ა. ჩიჩუა ცდილობს დანაკლისის ანაზღაურებას, მაგრამ ეს არც ისე იოლია: დაკარგულია ორი თვე. მარტის დამლევისთვის გუნდის დაკომპლექტება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. ყოველ შემთხვევაში, დაცვას გამაგრება სჭირდება. გუნდი მომზადების ხარისხითაც აშკარად დაბალ დონეზე დგას. ეს შეეხება თამაშის ყველა მხარეს, განსაკუთრებით კი ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. ზოგიერთი ფეხბურთელი საერთოდ შორს დგას საჭირო კონდიციებისგან.

მაგალითად, გუნდს შედარებით კარგი შედეგები აქვს ნაჩვენები 12-წუთიან რბენაში (კუპერის ტესტი), მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დარბოდა სულ ცხრა კაცი და ერთმა (მგონი ნიკოლაიშვილმა) ბილიკი მიატოვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ უიმედო დასკვნების გამოტანა არ არის საჭირო. გუნდს აქვს წინ წასვლის საშუალება. კოლექტივის შემადგენლობაში არიან საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელები. „დინამომ" ძალიან ცოცხლად, საინტერესოდ ჩაატარა საკონტროლო შეხვედრის პირველი ტაიმი ნოვომოსკოვსკის „ხიმიკთან", მეორე ტაიმისთვის კი მას ძალა არ ეყო და წააგო თამაში ანგარიშით 0:1. წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ ერთია: უკმარი წვრთნა, გამოუყენებელი მოსამზადებელი პერიოდი. ჩვენ ყველამ სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ ამ გაკვეთილიდან.

სამტრედიის „ლოკომოტივი"

მწვრთნელთა სიტყვით, „ლოკომოტივმა" მოსამზადებელი პერიოდი 15 იანვარს დაიწყო საკუთარ ბაზაზე, ჯიხაიშში. 15 თებერვლიდან გუნდი სოხუმში იყო შეკრებაზე, რომელიც 15 აპრილამდე გაგრძელდა. იგი დაბინავდა ტურბაზაში, რაც სრულიად შეუფერებელია სპორტსმენთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის მოსამზადებელ პერიოდში. თუმცა არც საწვრთნელი პირობები ჰქონიათ უკეთესი. დილის მეცადინეობებს, ზოგჯერ ძირითადსაც, გუნდი პლაჟის გასწვრივ ხეივანში ატარებდა. გუნდს ეშერაში მუდმივი საწვრთნელი დრო გამოყოფილი არ ჰქონდა, თუმცა იქ ფეხბურთის მინდორი ხელშეკრულებით აიღო და დღეში 80 მანეთს იხდიდა.

ამ ბოლო ფაქტზე განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ეშერაში მინდვრის იჯარა საათში 10 მანეთია. უკეთეს შემთხვევაში გუნდს მინდორი დაკავებული აქვს დღეში ორი საათით. რატომღა იხდის 8 საათის ფულს? გუნდის რა რენტაბელობაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ დროს?

არახელსაყრელმა პირობებმა, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა საწვრთნელი მეცადინეობების მოცულობასა და ხარისხზეც. მაგრამ კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშა უკონტროლობამ. შარშან „ლოკომოტივის" მწვრთნელები ასე თუ ისე წესიერად აწარმოებდნენ საგეგმო-საანგარიშგებო დოკუმენტაციას. მაგრამ გარეშეთაგან ამ საბუთებში არავის ჩაუხედავს და მწვრთნელებმაც უპასუხისმგებლოდ მიატოვეს ეს მნიშვნელოვანი უბანი,ურომლისოდაც წესრიგი არასდროს იქნება არც წვრთნაში, არც, საერთოდ, გუნდის ორგანიზაციაში. ასეა თუ ისე, დოკუმენტაცია იმდენად უყურადღებოდაა მიტოვებული, რომ სავსებით შეუძლებელია საწვრთნელი დროის დაგეგმილი და ფაქტიური მოცულობის დადგენა, მისი განაწილება სახეებისა და ვარჯიშების მიხედვით, საწვრთნელ მეცადინეობათა გავლენა ფეხბურთელებზე და ა. შ.

მართალია, კონსპექტებს წერენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვებზე უკეთესადაც. ეს მოწმობს, რომ საწვრთნელი მეცადინეობები გააზრებულია, მაგრამ, ვიმეორებთ, ყოველთვიური გეგმები და ანგარიში მაინც არა აქვთ, ჟურნალი მიტოვებულია. სამედიცინო და პედაგოგიური კონტროლი, რაც უფლებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ ფეხბურთელთა გაწვრთნილობასა და მათში მომხდარ ფუნქციონალურ ძვრებს, არ ტარდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც მწვრთნელმა თქვა, უახლოეს ხანში ყველაფერი უნდა გამოსწორდეს.

ნაკლოვანებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, რომ სამი თვის მანძილზე, 31 მარტის ჩათვლით, გუნდმა სულ 3 საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა: ნოვომოსკოვსკის „ხიმიკთან" (1:1), „ზენიტის" მეორე შემადგენლობასთან (2:3) და კემეროვოს „კუზბასთან" (1:1). „კუზბასთან" მატჩს, რომელიც ჩვენ ვნახეთ, საერთო ჯამში არ დაუტოვებია ცუდი შთაბეჭდილება, მაგრამ ამავე დროს მან გვიჩვენა, რომ გუნდს ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი აქვს დაცვასა და თავდასხმაში მოქმედებათა მოსაწესრიგებლად. როგორც ჩანს, თამაშის ხარისხზე გავლენას ახდენს მზადებაში არსებული ნაკლოვანებებიც, ზოგიერთი ფეხბურთელის შეუფერებლობა, სათამაშო პრაქტიკის უკმარობა.

რამდენიმე საერთო დასკვნა

1. წვრთნის პირობები ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. შეკრებებზე არ ჰყოფნით საწვრთნელი მინდვრები. ოჩამჩირეში, მაგალითად, ერთადერთი მინდორი ხუთ გუნდს ემსახურება. რაღა ორ და სამჯერად წვრთნაზე შეიძლება ლაპარაკი? არ არის არავითარი დამხმარე მოწყობილობა. და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, მწვრთნელები არ გრძნობენ ამ მოწყობილობის საჭიროებას. პირველ ყოვლისა, სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დამხმარე მოწყობილობანი არა გვაქვს გამოყენებული (უბრალო დგარებიდან დაწყებული) II ლიგის ოსტატთა რესპუბლიკური გუნდების წვრთნის პრაქტიკაში.

შედეგად მნიშვნელოვნად ეცემა მეცადინეობის პროდუქტიულობა და ხარისხი. უნდა ითქვას, რომ ამ გუნდებში სათანადოდ არ არის გამოყენებული მოსამზადებელი პერიოდის საწყის სტადიაში ტანვარჯიშის დარბაზში მეცადინეობა. ამ დარბაზებს მხოლოდ ავდრის დროს იყენებენ. ეს მაშინ, როცა ტანვარჯიშული და აკრობატული ვარჯიშები იარაღებზე საუცხოოდ სრულყოფს მოქნილობას და ისინი უნდა დავნერგოთ საწვრთნელ მეცადინეობათა პრაქტიკაში საერთო მოსამზადებელ ეტაპზე.

2. საწვრთნელი დროის ნამდვილი მოცულობა აშკარად უკმარია, განსაკუთრებით მოსამზადებელ პერიოდში, როცა იგი ლიმიტირებული არ არის კალენდარული თამაშების რეჟიმით. სავსებით დაუშვებელია, რომ გუნდები თავს უფლებას აძლევენ დაკარგონ ორ-ორი კვირა და მეტი, როცა საწვრთნელ მეცადინეობებს დადგენილ ვადებზე გვიან იწყებენ.

დღეს დაუშვებელია ყოველგვარი თვითნებობა დილის მეცადინეობებთან საგაზაფხულო თუ წინასათამაშო შეკრების პერიოდში მათს ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. აუცილებელია წვრთნისა და დასვენების პერიოდიზაციის დაცვა, ვინაიდან ციკლურობა მზადების ოპტიმალური რეჟიმის საფუძველია.

გუნდების ნაწილი სათანადოდ ვერ იყენებს დამატებითს მეცადინეობებს, თუმცა მათს დანერგვას საჭირო მოცულობით მოსამზადებელ პერიოდში არავითარი დაბრკოლება არ ხვდება. აქ ხელის შემშლელი მიზეზია მხოლოდ დატვირთვის შიში, რომლის ზრდის ანგარიშზეც დიდმა სპორტმა სხვა სახეობებში არაჩვეულებრივ წარმატებებს მიაღწია. საწვრთნელი დროის საერთო მოცულობა, როგორც ჩანს, შეიძლება გაიზარდოს ძირითად მეცადინეობათა ხანგრძლივობის მატების ხარჯზეც.

არასაკმარის დატვირთვასთან ერთად, გუნდების უმეტესობას სერიოზული პრეტენზიები შეიძლება წაეყენოთ მეცადინეობის ინტენსივობის მხრივაც (სიმჭიდროვე, ძალის დატანების ხარისხი). მეცადინეობის ინტენსივობის გაზრდის გარეშე ჩვენს ფეხბურთს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ვერ ავიყვანთ.

3. დიდი, საზღვრულს მიახლოებული და საზღვრული დატვირთვა შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ოპერატიული კონტროლი ფეხბურთელთა ორგანიზმში მომხდარ ფუნქციონალურ ძვრებსა და გაწვრთნილობაზე. ოსტატთა გუნდებში მზადების მეთოდები ნორმალურად შეიძლება წარიმართოს მხოლოდ ექიმთან მჭიდრო თანამშრომლობით. ის, რომ II ლიგის ოსტატთა გუნდებში ექიმები არა გვყავს, ნამდვილ უბედურებად უნდა მივიჩნიოთ. საჭიროა ეს ნაკლი უახლოეს დროში გამოსწორდეს, შეიძლება შეთავსების ხერხითაც, რაც ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს გუნდების ექიმების მომსახურებით ისარგებლონ თუნდაც წვრთნის შინაურ პირობებში.

4. შემოწმებულ გუნდებში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას აღმზრდელობითი მუშაობა. ეს მიტოვებული უბანია. გუნდებისთვის ჟურნალ-გაზეთებს არ იწერენ, თუ იწერენ, ისეთ ადგილებში არ აწყვია, რომ საკოლექტივოდ მოსახმარებელი იყოს. გუნდები კედლის გაზეთებს არ უშვებენ, არც მოძრავი ბიბლიოთეკები ემსახურებათ, სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება კოლექტიურ დასწრებას კინოფილმებზე, გამოფენებზე, მუზეუმებში, თეატრებში სიარული. ლექციები ძალიან იშვიათად ტარდება. კომკავშირული ორგანიზაციები ვერ ასრულებენ გუნდების ცხოვრებაში მათთვის განკუთვნილ როლს. თუ ყოველივე ეს არ მოგვარდა, თუ კოლექტივები არ განმტკიცდა, არ შეკავშირდა, თუ მათი კულტურული და ზნეობრივი დონე არ ამაღლდა, ჩვენ ვერ შევასრულებთ ფეხბურთის შემდგომი წინსვლისა და სპორტსმენთა სამოქალაქო აღზრდის საკითხში დასმულ მნიშვნელოვან ამოცანას.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს დავალებით შემოწმება ჩაატარა ვ. მდივანმა.

დასასრული, იხ. „ლელო" № 81.

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა I ზონა

28 აპრილს გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დილა" (გორი) — „ხანკი" (იანგიარიკი) 4:1

გორელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან სწრაფი, მოფიქრებული იერიშები განავითარეს და „ხანკის" მეკარე კოლესნიკოვი აიძულეს სრული დატვირთვით ჩაბმულიყო თამაშში. ცხადი იყო, რომ სტუმრების დაცვა ვერ გაუძლებდა ამ მასირებულ შეტევებს და მართლაც, მე-11 წუთზე, ბაქრაძის მიერ დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა კოლესნიკოვს, მას მიუსწრო მღებრიშვილმა და კარში გაგზავნა. სამიოდე წუთის შემდეგ მელაძემ სწრაფი გარღვევა შეასრულა მინდვრის სიღრმიდან, გადააწოდა კარგ პოზიციაში მყოფ მღებრიშვილს და კოლესნიკოვს მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან.

ანგარიში შეიძლებოდა შესვენებამდეც გაზრდილიყო, გორელ თავდამსხმელებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ გადამწყვეტ მომენტებში. შესვენების შემდეგ „დილა" კვლავ ენერგიულად უტევდა და „ხანკის" კარში კიდევ ორი ბურთი აღმოჩნდა ბაქრაძისა და ბერიკაშვილის დარტყმების შემდეგ.

მასპინძლებმა მატჩის დასასრულს მოუკლეს იერიშებს, რითაც საშუალება მისცეს მელნიკოვს გაეტანა ერთი საპასუხო გოლი.

ი. თევდორაშვილი.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „იანგიერი" (იანგიერი) 1:0

წინა მატჩთან შედარებით რუსთავის გუნდმა ეს თამაში უფრო მონდომებით და კოლექტიურად, სწრაფი ტემპით ჩაატარა. „იანგიერი" ზონის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, იგი მთელი ძალით იბრძოდა წარმატების მოსაპოვებლად, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს თავიანთი უპირატესობის დამტკიცება.

გოლი, რომელმაც „მეტალურგს" გამარჯვება მოუტანა, 27-ე წუთზე გაიტანა ალადაშვილმა. სტუმრებმა ცდა არ დააკლეს საპასუხო ბურთის გატანას და რამდენიმეჯერ ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა მეკარე მელაძემ, რომელმაც რამდენიმეჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა გოლს.

ბოლო 15 წუთი კვლავ მასპინძელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლის დროსაც მეტალურგებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან.

რ. გაბრიჭიძე.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 1:1, „ნეფტიანიკი" (ფერგანა) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „ფახთაჩი" (გულისტანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:0, „ჯიზაკი" (ჯიზაკი) — „ხაზარი" (სუმგაითი) 1:0, „ავტომობილისტი" (თერმეზი) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 2:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა"	2	2	0	0	6—2	4
„მეტალურგი"	2	2	0	0	3—0	4
„ჯიზაკი"	2	2	0	0	3—0	4
„ნეფტიანიკი"	2	2	0	0	2—0	4
„ავტომობილისტი"	2	1	1	0	4—3	3
„ფახთაჩი"	2	1	1	0	1—0	3
„ლოკომოტივი"	2	1	0	1	4—2	2
„დინამო" (ბ.)	1	1	0	0	2—0	2
„მერცხალი"	2	1	0	1	2—5	2
„გურია"	1	0	1	0	1—1	1
„სტროიტელი"	1	0	1	0	1—1	1
„შირაკი"	2	0	1	1	0—1	1
„პროგრესი"	2	0	1	1	2—4	1
„დინამო" (ზ.)	1	0	0	1	1—2	0
„იანგიერი"	2	0	0	2	1—3	0
„ხაზარი"	2	0	0	2	1—3	0
ფიზკ. ინსტ.	2	0	0	2	0—2	0
„ხანკი"	2	0	0	2	1—6	0

ჩემპიონატები, მატჩები, ტურნირები

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჰოლანდია

ლიდერობას ინარჩუნებს „ფშვ ეინდჰოვენი", რომელმაც გათამაშების მორიგ ტურში ამსტერდამის „აიაქსი" დაამარცხა — 4:2.

ჩემპიონატის ბოლომდე 2 ტური დარჩა. „ფშვ ეინდჰოვენს" 51 ქულა აქვს, როტერდამის „ფეიენოორდს" — 50, „აიაქსს" — 46.

უნგრეთი

ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა", რომელიც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში 14 მაისს ბაზელში კიევის „დინამოს" ეთამაშება, ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში ანგარიშით 1:0 სძლია პეჩის „დოჟას". იგი გათამაშების ცხრილში III ადგილს ინარჩუნებს დედაქალაქის გუნდების — „დოჟა-უიპეშტისა" და „ჰონვედის" შემდეგ.

ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მადაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

ამ უკიდურესად დაძაბულ შეხვედრაში, სადაც ორივე კართან უამრავი სახიფათო მომენტი იყო შექმნილი, ანგარიში დასაწყისშივე გახსნა ჭიათურელმა მაღრაძემ. ამ გოლის გაქვითვა მასპინძლებმა შეძლეს 79-ე წუთზე (გუბარი).

● „განთიადი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 0:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „იმერეთი" (წულუკიძე) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს წულუკიძელებმა (ანდრიაძე), შემდეგ კი თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და საპასუხო გოლი მარტინენკომ გაიტანა 56-ე წუთზე. მატჩის დასასრულს წუთიღა აკლდა, როცა გორელთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ მაჭარაძის დარტყმა ასცდა კარს.

● „კოლხეთი" (ფოთი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

ფოთელთაგან ბურთი გაიტანა რურუამ, ხოლო სტუმართაგან — ტაბუცაძემ.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ვარძია" (ახპინძა) 0:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

● „დურუჯი" (ყვარელი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

მატჩი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა. მეორე ტაიმის დასაწყისისთვის ყვარლელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (სონღულაშვილი, ბეროშვილი). მე-60 წუთზე ოდიშარიამ გაქვითა ერთი გოლი, მალე კი ნერსეზაშვილმა მესამე ბურთი გაიტანა „სალხინოს" კარში. სტუმრებმა ბევრი იბრძოლეს, რათა თავი დაეღწიათ წაგებისთვის, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას (დარჯანია).

● პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 7:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა ეს მატჩი უაღრესად დაბალ დონეზე, მოუნდომებლად ჩაატარეს. სტუდენტთა გუნდი მეტოქეს ბევრად სჯობდა. ორ-ორი ბურთი გაიტანეს მაჩაბლიშვილმა და კვარაცხელიამ, თითო — ჟორდანიამ, წიკლაურმა და შენგელიამ. საპასუხო ბურთის გატანა შეძლო ქაჩიბაიამ.

● ასკ (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

პირველ ნახევარში არმიელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ და ლაბაძემ ორჯერ აიღო „მეშახტის" კარი, რასაც ერთი გოლით უპასუხა ტყიბულელმა ბოჭორიშვილმა, შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, უპირატესობა „მეშახტემ" მოიპოვა, მაგრამ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა. ერთ-ერთი კონტრშეტევისას იმავე ლაბაძემ მესამედ აიღო მეტოქის კარი, 85-ე წუთზე კი აუშტროვმა მეორე საპასუხო გოლი გაიტანა.

● „დინამო" (სოხუმი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

39-ე წუთისთვის სოხუმელთა სრული უპირატესობა ხარტაკოპულოს და გაბისკირიას ორი გოლით დაგვირგვინდა. გუნდმა რატომღაც დამთავრებულად მიიჩნია საქმე და მეორე ტაიმში მკვეთრად მოუკლო თამაშს. ამით სტუმრებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს და ორივე გოლი გაქვითეს (კვიტაიშვილი, დიკი).

● „კოლხეთი" (ხობი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ო. ცერცვაძე (სოხუმი).

თავდაპირველად დაწინაურდნენ თბილისელები (მდინარაშვილი), მაგრამ შემდგომ „კოლხეთმა" საფუძვლიან უპირატესობას მიაღწია. ანგარიში გაათანაბრა ე. გვასალიამ, გადამწყვეტი გოლი კი ფარცხვანიამ გაიტანა.

● „კახეთი" (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

თელაველი ცარციძის მიერ გატანილი გოლი სტუდენტებმა ვერ გაქვითეს, თუმცა ხაამისო შესაძლებლობა მათ საკმარისზე მეტი ჰქონდათ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პოლიტ. ინსტ.	8	6	1	1	28—9	13
უნივერ.	8	5	2	1	12—7	12
„კახეთი"	8	5	1	2	17—6	11
„კოლხ." (ფ.)	8	5	1	2	13—5	11
„იმერეთი"	8	4	3	1	9—3	11
„დინამო"	8	4	3	1	14—13	11
„მაღაროელი"	7	4	2	1	14—4	10
„დურუჯი"	8	4	2	2	8—6	10
„სალხინო"	8	3	3	2	10—7	9
ფიზკ. ინსტ.	8	3	3	2	11—9	9
„ქართლი"	7	2	4	1	9—10	8
„ამირანი"	8	3	2	3	5—10	8
„განთიადი"	8	2	3	3	6—6	7
„ივერია"	8	2	3	3	7—8	7
„შუქურა"	8	1	5	2	10—13	7
„მეტალურგი"	7	2	2	3	5—7	6
ასკ (თბ.)	8	2	2	4	10—13	6
„მეშახტე"	8	2	2	4	12—16	6
„კოლხ." (ხობი)	8	1	3	4	3—10	5
„ეგრისი"	7	0	3	4	6—15	3
„ლოკომოტივი"	8	0	1	7	2—18	1
„ვარძია"	8	0	1	7	2—18	1

II ჯგუფი

I ზონა

„ცისკარი" (სიღნაღი) — „სამცხე" (აწყური) 1:2, „განახლება" (ადიგენი) — „არაგვი" (დუშეთი) 6:0, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „ჩამომსხმელი" (ბორჯომი) 0:1, „არაგვი" (მცხეთა) — „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) 3:1, „განთიადი" (კასპი) — „ყინწვისი" (ქარელი) 3:0, „მესხეთი" (ახალციხე) — „ფოლადი" (რუსთავი) 1:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:3, „მადნეული" (ბოლნისი) — „ქიმიკოსი" (ახმეტა) 1:0.

II ზონა

„კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „გიგანტი" (ლაითური) 1:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „სულორი" (ვანი) 2:2, „ნაკადული" (ჩხოროწყუ) — „მშიური" (გალი) 0:1, „იმერეთი" (თერჯოლა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:0, „მექადალდე" (ზუგდიდი) — „მშენებელი" (ბათუმი) 3:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 0:1, „დინამო" (ქუთაისი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 1:0

საჯარიმო დაფა

განვლილი ტურის მატჩებში არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს ლაგოდეხის „ჰერეთის" ფეხბურთელი ნ. პრიხოჟენკო და საგარეჯოს „პოლიტექნიკოსის" წევრი ბ. სულიკაშვილი.

სხვადასხვა დანაშაულისთვის გაფრთხილებული არიან: რ. მეკალუაშვილი („პოლიტექნიკოსი", საგარეჯო), თ. კილაძე („გიგანტი", ლაითური), დ. ოდიშარია და ლ. ბაკურია („სალხინო", გეგეჭკორი), დ. ჟორდანია (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ე. იმედაძე („მაღაროელი", ჭიათურა).

მეორე გაფრთხილება მიიღეს უნივერსიტეტის ფეხბურთელმა დ. ტაბუცაძემ და სოხუმელმა გ. კაბაკოვმა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის ყოვლად დაუშვებელი დანაშაული, რომელიც მოხდა ოჩამჩირეში ადგილობრივი „ამირანისა" და ჭიათურის „მაღაროელის" შეხვედრის დროს. ოჩამჩირელი ფეხბურთელები იქცეოდნენ ხულიგნურად, განუწყვეტლივ უხეშობდნენ და ეკამათებოდნენ მსაჯს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წესრიგის დარღვევაში თ. ეთერიამ და ზ. ჭითანავამ. „ამირანის" ფეხბურთელთა გარდა, ყოვლად უხამსად იქცეოდა სტადიონის მომსახურე პერსონალი. ზოგიერთი მათგანის დაუშვებელი საქციელით წაქეზებულმა მაყურებელთა ერთმა ნაწილმა დაარღვია წესრიგი, მსაჯს ქვებიც კი ესროლეს და ბოლოს მასთან ფიზიკური ანგარიშსწორებაც დააპირეს. საქმეში მილიცია რომ არ ჩარეულიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ის, რაც ოჩამჩირის სტადიონზე მოხდა, ყოვლად დაუშვებელია. იმედი გვაქვს, ადგილობრივი ხელმძღვანელობა სათანადო ზომებს მიმართავს, მაგრამ, თუ მსგავსი რამ კიდევ გამეორდა, ოჩამჩირეში კალენდარული მატჩები აღარ ჩატარდება.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

დარჩა ერთი ტური

კიევი, 28 აპრილი. გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩები: „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — ფისკ (ტაშკენტი) 72:51 (38:30), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 82:61 (41:38), „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 77:70 (39:30), „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) — „დინამო" (მოსკოვი) 66:59 (40:34), ტტტ (რიგა) — „დინამო" (კიევი) 79:70 (45:27), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 85:47 (47:22).

32-32 თამაშის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ტტტ — 31 ქულა, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 29, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — 26, „დინამო" (მოსკოვი) — 22, „ურალმაში" — 18, „კიბირკშტისი" — 17, „უნივერსიტეტი" — 16, „დინამო" (კიევი) — 10, ფისკ — 7, „სტალი" — 7, „სტროიტელი" — 6, „ბურევესტნიკი" — 5.

ტელეფონით

ფინიში ვრნიაჩკა-ბანიაში

ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობდა. აი, რა უამბო მსოფლიო ჩემპიონმა „ლელოს" კორესპონდენტს, რომელიც მას ვრნიაჩკა-ბანიაში ტელეფონით დაუკავშირდა.

— დასკვნითი, XV ტურის წინ შედგა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად, — თქვა ნონამ. — რაიკოვიჩმა მოუგო ბარლოვს (ორივე — იუგოსლავია), ყაიმით დასრულდა პადევსკი (ბულგარეთი) — ჯულიჩისა (იუგოსლავია) და იანსა (ჩეხოსლოვაკია) — ნიკოლიჩის (იუგოსლავია) პარტიები.

XV ტურში თამამად შევუტიე იუგოსლაველ ოსტატ ნიკოლიჩს, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტი მომივიდა და დავმარცხდი. ჩემმა მწვრთნელმა, დიდოსტატმა გიპსლისმა მოუგო დიდოსტატ პადევსკის და I-III ადგილები გაიყო ოსტოიჩთან (იუგოსლავია), რომელმაც რუმინელი ჩოკილტია დაამარცხა, და უნგრელ ვადაშთან, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩაილიჩთან (იუგოსლავია). თითოეულმა 10,5 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, ოსტოიჩმა დიდოსტატის წოდების მისაღებად მეორე ბალი შეასრულა, ვადაშმა კი — პირველი.

რაიჩევიჩმა (იუგოსლავია) მოუგო რაიკოვიჩს, კნეჟევიჩმა (იუგოსლავია) — ბარლოვს, იანსამ — ჯულიჩს. ყაიმით დამთავრდა ტრინგოვ (ბულგარეთი) — მარტინოვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა.

7-7 ქულით მე, დიდოსტატმა ტრინგოვმა და საერთაშორისო ოსტატმა ჩოკილტიამ X-XII ადგილები გავიყავით. ალბათ, უკეთ შემეძლო მეთამაშა, საინტერესოა, რომ სამი პარტია წავაგე სწორედ მათთან, ვინც ბოლო სამ ადგილზე გავიდა. ამ ძლიერ ტურნირში მონაწილეობა ჩემთვის საუცხოო წვრთნა იყო. 1 მაისს შინ მოვემგზავრები.

საქართველოს ჩემპიონატები

...თბილისში

მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირში გუშინწინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

სამ-სამი პარტია დაამთავრეს ი. ჩიქოვანმა და მაია ჩიბურდანიძემ. ჩიქოვანმა სძლია გ. ცქიტიშვილს, დამარცხდა თ. ლომაიასთან (ორივე — თბილისი) და ყაიმზე შეუთანხმდა ქუთაისელ გ. მენაბდეს. ჩიბურდანიძეს დანებდნენ ს. კიკილაშვილი და ნ. ჩახოიანი, ხოლო დ. გედევანიშვილს (სამივე — თბილისი) იგი დაუზავდა. მეორე გადადებული პარტია კიკილაშვილმა წააგო ლომაიასთან, ხოლო გედევანიშვილმა მოუგო ცქიტიშვილს.

გ. ბიბილაშვილმა (რუსთავი) და ა. ტუზოვსკიმ (სოხუმი) თითო ქულა ჩაიწერეს: პირველმა დაამარცხა გ. გოგიტიძე (ბათუმი), მეორემ — ჟ. მზარულუა (ზუგდიდი).

10 ტურის შემდეგ თბილისელ ზ. სტურუას 7,5 ქულა აქვს, თ. ლომაიას, ა. ტუზოვსკის — 7-7, ი. ჩიქოვანს, ნ. ჩახოიანს — 6,5-6,5, მ. ჩიბურდანიძეს, გ. ბიბილაშვილს — 6-6, ზ. მიქაძეს — 5,5, ა. ბუსლაევს (ორივე — თბილისი), გ. მენაბდეს, დ. გედევანიშვილს—5-5, ა. ბოკუჩავას (თბილისი), ა. ჯობავას (გალი)—4,5-4,5, დ. ექვთიმიშვილს (თბილისი) — 3,5, ჟ. მზარულუას — 3, ს. კიკილაშვილს — 2,5.

თ. ნინოშვილი.

...ზუგდიდში

მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრების X ტურში მ. წერეთელმა (თბილისი) 18 სვლაში დაამარცხა რ. ლაგვილავა (ხობი) გაიმარჯვეს, აგრეთვე, ც. კახაბრიშვილმა (თბილისი) — ზ. ლალიძესთან (ტყიბული) და ნ. გურიელმა — ე. ბაშინჯრიძესთან (ორივე — თბილისი). ყაიმით დამთავრდა თ. ნემსაძისა (ზუგდიდი) და ნ. იმნაძის (მახარაძე) შეხვედრა.

ორი პარტია გადაიდო. მწვავე პოზიციაში შეწყდა თ. ხუგაშვილ — ნ. ხუბულურის პარტია. ნ. იოსელიანს (სამივე — თბილისი) პაიკი აკლია ც. ქასოშვილთან (გორი).

10 ტურის შემდეგ თ. ხუგაშვილს, ნ. იოსელიანს, ნ. ხუბულურსა და ც. კახაბრიშვილს 7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ნ. გურიელს — 7 ქულა.

მ. ძნელაძე,
ჩემპიონატის მსაჯი-მდივანი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

● სოჭში დამთავრდა ჭაბუკ მოჭადრაკეთა საკავშირო შესარჩევი ტურნირი ჭაბუკებს შორის მსოფლიო პირველობისთვის. I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ვ. ჩეხოვმა (მოსკოვი) და ა. კოჩიევმა (ლენინგრადი). III ადგილზეა თბილისელი ოსტატი გ. ზაიჩიკი.

● მოსკოვის ქალთა III საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ორიოდე დღის წინათ დამთავრდა, I ადგილი დაიკავა მოსკოვის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ტ. ზატულოვსკაიამ — 10,5 ქულა 13-დან.

● სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკის ელვისებურ თამაშში. შეჯიბრებაში 32 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ი. ბალაშოვმა (მოსკოვი). II ადგილზეა დიდოსტატი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), III — დიდოსტატი ე. ვასიუკოვი, IV — ოსტატი კ. გრიგორიანი (ორივე — მოსკოვი).

პირველად...

ასუჯრიან, ანუ საერთაშორისო შაშში ქალთა ტურნირები ახალი ხილია. შარშან პირველად ჩატარდა საკავშირო და მსოფლიო პირველობები, რომლებშიც ჩემპიონობა მოსკოველმა ე. მიხაილოვსკაიამ მოიპოვა.

და აი, 26 აპრილს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, სტარტი აიღო ასუჯრიან შაშში საქართველოს ქალთა I ჩემპიონატმა. ბრძოლაში ჩაებნენ თბილისის ჩემპიონი, ოსტატი თ. გამხიტაშვილი, ოსტატობის კანდიდატები ნ. დოლბაია, დ. ბოლქვაძე, ე. შვედოვა, ლ. ზოლოტუხინა, პირველთანრიგოსნები ქ. ტალახაძე, მ. ბაქრაძე, ნ. ამაშუკელი (ყველა — თბილისი), რ. ბუდკო (რუსთავი), მ. პაშკანიანი (ბათუმი), მ. ავალიშვილი, მ. გაბატაშვილი (ორივე — გარდაბანი), ნ. ფაილოძე, ლ. ნანეიშვილი (ორივე — ფოთი).

I ტურში ბოლქვაძემ კომბინაციით სამი პაიკი მოუგო ამაშუკელს და გაიმარჯვა. დოლბაიამ დაამარცხა ბუდკო, ტალახაძემ — ნანეიშვილი. ყაიმით დამთავრდა ფაილოძე — შვედოვას და ზოლოტუხინა — პაშკანიანის შეხვედრები. სამი პარტია გადაიდო.

თ. ბარამიძე,
სპორტის ოსტატი.

მეტალურგთა დარბაზის ფალავნები

რუსთავის მეტალურგთა დარბაზში ჩატარდა საინტერესო შეჯიბრება — საქალაქო პირადი პირველობა სამბოში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდებმა, აგრეთვე, სპორტკლუბმა „ფოლადმა".

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: გ. ისმაილოვმა, ბ. მუმლაძემ, ვ. ბეჟიტაშვილმა, ი. ყურბაევმა, ე. გეჯაძემ (ყველა — „შრომითი რეზერვები"), გ. ქურასბედიანმა („განთიადი"), ზ. შუკოვანმა („შრომითი რეზერვები"), გ. რომელაშვილმა, დ. ჩიხრაძემ (ორივე — „განთიადი"), ე. ფლენტმა.

შეჯიბრებამ გამოავლინა კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდა სპორტსმენები. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ მე-17 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ე. გეჯაძე და მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელი ა. ჩოჩიევი.

დ. ჩაჩანიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.
რუსთავი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

19-24 მაისს

ზაფხულის არდადეგების პერიოდში პიონერთა ბანაკებში წამსვლელთათვის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ტარდება ფიზკულტურის მასწავლებელთა და ცურვის სპეციალისტთა მოსამზადებელი სემინარები.

მსურველებს ცნობებისთვის შეუძლიათ მიმართონ ფიზკულტურის ინსტიტუტში მუდმივმოქმედი კურსების დირექტორს ე. ყორაშვილს.

ИНДЕКС 6841

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03703